186
1928.6.II
34(05)
ს-29.

პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

ფინანსთა და მეურნეობათა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1928 წ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1928 წ. აგვისტოს 2 № 3 ნაწილი მეორე

შინაარსი:

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებანი.

12. ინსტრუქცია № 0129 ვინაობის მოწმობის გაცემისა და მიღების წესის და მოქალაქეთა სახლის დავთარში ჩაწერის შესახებ.

შინაგან საქმეთა და იუსტიციის სახალხო კომისარიატების განკარგულებანი.

13. ინსტრუქცია დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და კერძო პირთა მიერ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ბაირაღით სარგებლობის წესის შესახებ.

იუსტიციის და ფინანსთა სახალხო კომისარიატების განკარგულებანი.

14. წესი სანოტარო მოქმედების სასყიდლის გადახდისა.

იუსტიციის და შრომის სახალხო კომისარიატების განკარგულებანი.

15. დადგენილება სახელმწიფო საწარმოებში ჩადენილი წვრილმალი საფაბრიკო-საქარხნო ჟურდობისათვის გადასახდელის დადების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაგან საქმეთა სახ. კომ. განკარგულებანი.

12. ინსტრუქცია № 0129

ვინაობის მოწმობის გაცემის და მიღების წესის და მოქალაქეთა სახლის დავთარში ჩაწერის შესახებ.

1928 წ. მაისის 22.

(გამოცემულია ს. ს. ს. რ. სახ. კომ. საბჭოს 1927 წ. 29 დეკემბრის და 1928 წ. 23 მარტის დადგენილებების განსავითარებლად—„კ. კ." 1927 წ. № 12, მუხ. 176 და 1928 წ. № 4, მუხ. 37).

1. ვინაობის მოწმობების შესახებ.

1. სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის პირს, სახლის სამოურაოს (მმართველობას) და სხვ. არა აქვთ უფლება კანონში გათვალისწინებულ შემთხვევების გარდა (სასამართლოს საქმეზე ვინაობის გამორკვევა, სანოტარო წესით ყოველგვარი მოქმედების შესასრულებლად და სხვ.), მოსთხოვონ მოქალაქეთ იმისთანა საბუთების წარმოდგენა, რაც ადასტურებს მათ (მოქალაქეთ) ვინაობას.

2. იმ შემთხვევებში, როდესაც ს. ს. ს. რ. მოქალაქეს დასჭირდება მმართველობის ორგანოთა წინაშე თავის ვინაობის დადასტურება, საკმარისად ითვლება წარდგენა ან ყველა ს. ს. ს. რ. მოქალაქეთათვის ერთიანი ფორმის წერილობითი „ვინაობის მოწმობისა" ან ერთ-ერთი შემდეგი საბუთისა:

ა) დაბადების ან ქორწინების სააქტო ამონაწერი (ან ძველი მეტრიკა);

ბ) სახლის სამოურაოს ან სოფლის საბჭოს ცნობა ბინადრობის შესახებ (საბინაო დავთრის ან საკომლო სიის ამონაწერი);

გ) სამუშაო ან სამსახურის ადგილის მოწმობა (ან საანგარიშო წიგნაკი);

დ) ისეთი დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია სამხედრო-ვალდებულთა დამოკიდებულება სამხედრო სამსახურისადმი (გარდა იმ პირებისა, ვინც ამა დადგენილების მე-7 მუხლშია ჩამოთვლილი);

ე) პროფკავშირის საწევრო ბილეთი;

ვ) სასწავლებელში მოწაფედ ყოფნის ან კურსის დამთავრების დოკუმენტი და

ზ) ვინაობის უვადო წიგნაკი, რაც გაცემულია საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 83 №-რის დადგენილების თანახმად.

3. ინსტრუქციის მეორე მუხლის პუნ. „ბ" აღნიშნული სახლის სამოურაოს ცნობები საკმარისად ჩაითვლება ვინაობის დამადასტურებელ საბუთად მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი დამყარებულია საბუთზე, რომლის თანახმად მოქალაქე ჩაწერილია სახლის დავთარში; უკეთუ სახლის დავთარში ჩაწერა მოხდა მოქალაქის წერილობითი განცხადების მიხედვით, რაიმე საბუთების წარმოუდგენლად, მაშინ სახლის სამოურაოს მიერ გაცემული ცნობები ბინადრობის შესახებ ვინაობის დამადასტურებელ საბუთად არ ჩაითვლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. თვითეული საბუთი, რომელიც წარმოდგენილი იქნება მოქალაქეთა მიერ თავის ვინაობის დასადასტურებლად უნდა შეიცავდეს ცნობებს წარმომდგენის გვარის, სახელის და მამის სახელის შესახებ.

5. სხვისი ვინაობის მოწმობის წარდგენა ან მისი ყალბათ გაკეთება გამოიწვევს თვითეულ ცალკე შემთხვევაში პასუხისმგებლობას ს. ს. ს. რ. სისხლის სამართლის სათანადო მუხლების მიხედვით.

6. ს. ს. ს. რ. ყველა მოქალაქეთათვის ერთნაირი ფორმის განსაკუთრებული „ვინაობის მოწმობის“ ბლანკები მზადდება სპეციალურ ქაღალდზე, წყლის ნიშნებით; ამასთანავე ასეთი ბლანკები არ შეიძლება მიეყიდოს ან მიეცეს არავითარ სხვა ორგანოებს, გარდა მილიციის, თემის აღმასრულებელ კომიტეტებისა, მხოლოდ საჭირო შემთხვევაში, სოფლის საბჭოებსაც.

7. „ვინაობის მოწმობა“ გაიცემა მისი მოქმედების ვადის შეუზღუდავად.

8. არც ერთი მოქალაქე რესპუბლიკისა არ შეიძლება იძულებულ იყოს „ვინაობის მოწმობის“ მისაღებად, მხოლოდ დაწესებულებანი, რომელთაც დაკისრებული აქვთ ასეთების გაცემა, ვალდებულნი არიან მიიღონ ყოველგვარი ზომები, რათა მსურველებმა, გარდა ამა ინსტრუქციის ქვემო მე-9 მუხლში ჩამოთვლილ პირებისა, დაუყოვნებლივ მიიღონ მოწმობები.

9. „ვინაობის მოწმობის“ მიღების უფლება აქვს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა, რასისა, ეროვნებისა და ჩამომავლობისა გარდა ა) არასრულწლოვანისა 16 წლამდე, ბ) სულით-ავადმყოფებისა, გ) წითელარმიის და ფლოტის სამხედრომსახურთა და დ) ს. ს. რ. სავაჭრო ფლოტის მეზღვაურებისა.

შენიშვნა. უცხო ქვეშევრდომის მოქალაქეებს მათთვის დაწესებული საცხოვრებელი საბუთები ეძლევათ განსაკუთრებული წესით, რაც გათვალისწინებულია „უცხოელთათვის საცხოვრებელი საბუთების შესახებ დებულებით“.

10. არასრულწლოვანები 16 წლამდე აღინიშნება იმ პირის „ვინაობის მოწმობაში“ ან იმ დაწესებულების სიაში, რომელიც ამ არასრულწლოვანს ინახავს.

11. მე-10 მუხლის საერთო წესის გამონაკლისად არასრულწლოვანს 12-დან 16 წლამდე, შეიძლება მიეცეს ცალკე მოწმობა შემდეგ შემთხვევაში:

ა) მშობელთა ან ძათ მონაცვლე პირთა თხოვნით და

ბ) თვით არასრულწლოვანის თხოვნით, უკეთუ მას არა ჰყავს მშობლები ან მათი მონაცვლე პირი.

12. არასრულწლოვანი, რომელსაც შეუსრულდა 16 წელი, ვინაობის მოწმობის მისაღებად არ საჭიროებს მშობელთა ან მზრუნველთა თანხმობას.

13. დაწესებულ წესით სულით-ავადმყოფად ცნობილ პირებს შეუძლიანთ მიიღონ „ვინაობის მოწმობა“ მხოლოდ იმ პირთა ან დაწესებულებათა თანხმობის შემდეგ, რომელთა მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან იგინი.

შენიშვნა. პირს, რომლის მზრუნველობის ქვეშ იმყოფება სულით-ავადმყოფად ცნობილი, აქვს უფლება მოითხოვოს თავის ვინაობის მოწმობაში შეტანა ავადმყოფის და მის შესახებ ცნობებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. „ვინაობის მოწმობა“ მოქალაქეთ მიეცემათ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სარაიონო მილიციის, სამაზრო მილიციის სამმართველოს და ადმინისტრატიულ განყოფილებათა მიერ ქალაქებში, სადაც არ არის საქალაქო მილიცია. იმ ადგილებში, სადაც სამილიციო დაწესებულებანი არ არის, „ვინაობის მოწმობა“ მიეცემა თემის აღმასრულებელ კომიტეტების და სოფლის საბჭოების მიერ.

შენიშვნა 1. გარდა ჩამოთვლილისა, არც ერთ სხვა ორგანოებს არა აქვთ უფლება გასცენ ს. ს. ს. რესპუბლიკისათვის ერთიანი ფორმის „ვინაობის მოწმობები“.

შენიშვნა 2. „ვინაობის მოწმობის“ მისაღებად საცხოვრებელ ადგილად უნდა ჩაითვალოს, როგორც მუდმივი საცხოვრებელი ადგილი მოწმობის მიღების პირისა, ისე მისი დროებითი ცხოვრება განსაზღვრულ ადგილას, სადაც მას აქვს სამუშაო, სარეწაო, სამსახური ან სადაც იგი სწავლობს.

15. „ვინაობის მოწმობები“ მიეცემა თანახმად ერთ-ერთ იმ საბუთებისა, რაც ჩამოთვლილია მე-2 მუხლში; ამასთანავე მოწმობის გამცემ ორგანოთ არა აქვთ უფლება მოსთხოვონ წარმოდგენა რაიმე სხვა საბუთებისა, გარდა ჩამოთვლილებისა.

შენიშვნა 1. ქორწინებაში მყოფ დედაკაცებისათვის სააქტო (მეტრიკული) ამონაწერი დაბადების შესახებ არ შეიძლება გამოდგეს საფუძვლად „ვინაობის მოწმობის“ მისაღებად, ვინაიდან მასში აღნიშნულია ქორწინებამდე (ქალიშვილობის) გვარი. ამგვარ შემთხვევებში „ვინაობის მოწმობა“ უნდა მიეცეს სახლთა მმართველობის ცნობების მიხედვით ცხოვრების შესახებ, და აგრეთვე სამსახურის ან სამუშაოს ადგილიდან მიცემულ მოწმობების (საანგარიშო წიგნაკების) მიხედვით, რომელი საბუთებიც მიეცემა იმ გვარის აღნიშვნით, რომელიც მიკუთვნილი აქვთ მოქალაქეებს ამ მომენტისათვის.

შენიშვნა 2. რესპუბლიკის მოქალაქენი, რომელნიც ჩამოვლენ საზღვარ გარედან და მოისურვებენ „ვინაობის მოწმობის“ მიღებას, მიიღებენ მას საცხოვრებლად არჩეულ ადგილას იმ პასპორტების თანახმად, რომელიც მიღებული აქვთ მათ ს. ს. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობისაგან საზღვარ გარეთ.

16. დედანი საბუთების წარდგენის დროს არავითარი ასლების წარდგენა დამატებით არ არის საჭირო.

17. უკეთუ აღმოჩნდება, რომ მოქალაქის მიერ წარმოდგენილი საბუთი მას არ ეკუთვნის ან გამოიწვევს საფუძვლიან ეჭვს მის სინამდვილეში ან კანონიერებაში, „ვინაობის მოწმობის“ გამცემი ორგანო უარს ეტყვის მის (მოწმობის) გაცემაში, მხოლოდ ამგვარი საბუთის წარმომდგენს აძლევს პასუხისგებაში ინსტრუქციის მე-5 მუხ. წესისამებრ.

18. უკეთუ მოქალაქეს, რომელსაც სურს „ვინაობის მოწმობის“ მიღება, არ შეუძლიან წარმოადგინოს მე-2 მუხლში აღნიშნული რომელიმე საბუთი—მილიცია მისცემს მას დროებითი ცნობას იმ ვადით, რაც საჭირო იქნება რომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიმე აღნიშნულ საბუთის მისაღებად, მხოლოდ ყოველ შემთხვევაში ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს, პატივსადები მიზეზების დროს ხსენებული ვადა შეიძლება გაგრძელებულ იქნეს კიდევ 3 თვემდე. მილიციის მიერ მიცემული ცნობა სდგება განმცხადებლის სიტყვებიდან და უნდა შეიცავდეს ცნობებს გვარის, სახელის და მამის სახელის და წლოვანების შესახებ.

19. უკეთუ მოქალაქეს არ შეუძლიან მიიღოს რომელიმე ის საბუთი, რომლის მიხედვითაც მას უნდა მიეცეს „ვინაობის მოწმობა", უკანასკნელს მისცემს ადმინისტრატიული განყოფილება, მხოლოდ სადაც ასეთი არ არის—მაზრის მილიციის სამმართველო; ამასთანავე ამგვარ შემთხვევებში ხსენებულ ორგანოებმა წინასწარ უნდა მიიღონ ყოველგვარი საჭირო ზომები განმცხადებლის გვარის, სახელის, მამის სახელის, დაბადების დროის და ოჯახური მდგომარეობის გამოსარკვევად.

20. გამორკვევა ცნობების, რომლებიც საჭიროა მე-19 მუხლის წესისამებრ „ვინაობის მოწმობის" მისაცემად, სწარმოებს ადმინისტრატიულ განყოფილებათა ან სამაზრო მილიციის სამმართველოთა მიერ სხვადასხვა საშუალებით: დაკითხვით მახლობელ ნათესავებისა და პირებისა, რომლებიც კარგათ იცნობენ განმცხადებელს, და საექიმო შემოწმებით იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია განმცხადებლის წლოვანების ზუსტად გამორკვევა; ამასთანავე მოქალაქეებს, რომლებიც ადასტურებენ გმნმცხადებლის ვინაობას, თავისი ვინაობის დასადასტურებლად უნდა ჰქონდეთ ერთ-ერთი რომელიმე საბუთი, ჩამოთვლილი მე-2 მუხლში.

21. ცნობა ცხოვრების შესახებ და მოწმობა სამუშაო ან სამსახურის ადგილის, სასწავლებელში ყოფნის შესახებ რჩება იმ ორგანოს საქმეებში, რომელიც განაგებს „ვინაობის მოწმობის" გაცემას; ყველა დანარჩენი საბუთები, რომლებიც წარმოდგენილია „ვინაობის მოწმობის" მიღების დროს, უბრუნდება მათ პატრონებს. უკეთუ საქმის გარემოებით საჭიროა საქმეებში იმ საბუთების ასლის დატოვება, რომლის დედანის დატოვება შეუძლებელია, „ვინაობის მოწმობის" გამცემი ორგანო თვით გადაიღებს ასლს, შეამოწმებს და სტოვებს თავის საქმეებში.

22. ორგანოებმა, რომლებსაც მინიჭებული აქვთ უფლება გასცენ რესპუბლიკის მოქალაქეთ „ვინაობის მოწმობები", უნდა იქონიონ მოწმობის ბლანკების მუდმივი მარაგი მოქალაქეების მოთხოვნილებათა შეუფერხებელ დასაკმაყოფილებლად იმ შემთხვევებში, როდესაც განაცხადებენ „ვინაობის მოწმობის" მიცემის შესახებ; გარდა ამისა „ვინაობის მოწმობის" გამცემ ორგანოებმა უნდა აწარმოონ ზუსტი აღრიცხვა: 1. გაცემულ „ვინაობის მოწმობებისა" და 2. გაცემულ და გაფუჭებულ „ვინაობის მოწმობების" ბლანკებისა.

23. „ვინაობის მოწმობის" გამცემი ორგანო ვალდებულია თვალყური ადევნოს იმას, რომ არ ხდებოდეს არავითარი შეფერხება გაცემაში; მასსიური განცხადების შემოსვლის შემთხვევებში კი, გაცემა უნდა სწარმოებდეს იმ ანგარიშით, რომ აცილებულ იქნეს მოქალაქეთა უმიზნო სიარული „ვინაობის მოწმობების" მიღებისათვის.—ამ შემთხვევაში გამცემი ორგანო „ვინაობის მოწმობის" გაცემის წესის და დროს შესახებ დაწვრილებით აცნობებს ადგილობრივ მოსახლეობას სათანადო ადგილებში განცხადებების გაკვრის საშუალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24. „ვინაობის მოწმობის“ გაცემა სწარმოებს შემდეგი წესით:

ა) „ვინაობის მოწმობის“ მისაღებად განმცხადებელი მიმართავს წერილობით ტეხნიკურ თანამშრომელს, რომელიც აწარმოებს „ვინაობის მოწმობის“ გაცემას. ტეხნიკური თანამშრომელი, იხილავს წარმოდგენილ საბუთებს და იმ შემთხვევაში, უკეთუ განმცხადებლის ვინაობა და ცნობების სინამდვილე, რომლებიც შეტანილ უნდა იქნენ მოწმობაში, დასტურდება ერთ-ერთ საბუთიდან, გამოსწერს „ვინაობის მოწმობას“. უკეთუ წარმოდგენილი საბუთები იწვევენ თანამშრომელში რაიმე ეჭვს მათი სინამდვილეში ან კანონიერებაში, საბუთები გადაეცემა დაწესებულების უფროსს განკარგულებისათვის;

ბ) ამის შემდეგ თანამშრომელი შეუდგება „ვინაობის მოწმობის“ ბლანკის შევსებას (გარდა უკანასკნელი გვერდისა), ხელმძღვანელობს რა ამასთანავე შემდეგი წესებით:

1-ლ სვეტში, გარდა გვარისა, შეიძლება აღინიშნოს „ვინაობის მოწმობის“ მიმღების „მეტი სახელიც“, უკეთუ მას არა აქვს განსაზღვრული გვარი ან უკეთუ „მეტი სახელი“ შეადგენს გვარის დამატებითი ნაწილს.

ქორწინებაში მყოფი პირები „ვინაობის მოწმობაში“ აღინიშნებიან იმ გვარით, რომელიც ამორჩეული აქვთ მათ რეგისტრაციის დროს და შეტანილი „სააქტო ჩანაწერში“ ქორწინების შესახებ.

მე-2 სვეტში წელი, თვე და რიცხვი მოქალაქის დაბადებისა აღინიშნება შემდეგი წესით: იმ პირთათვის, რომელნიც დაიბადენ 1906 წ. და ადრე, დაბადების თარიღი აღინიშნება ძველი და ახალი სტილით, მხოლოდ დაბადებულთათვის 1907 წ. ახალი სტილის შემოღებამდე და გვიან (აქეთ) დაბადების თარიღი აღინიშნება მხოლოდ ახალი სტილით 13 დღის მომატებით ძველი სტილის თარიღისათვის. დაბადების დღე აღინიშნება დაბადების შესახებ საბუთების ცნობების მიხედვით ან განმცხადებლის სიტყვებიდან.

მე-3 სვეტში—მუდმივი საცხოვრებელი ადგილი შეივსება თანახმად ს. ს. ს. რ. სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხ., რომლის მიხედვით საცხოვრებელ ადგილად ჩაითვლება ის ადგილი, სადაც პიროვნებას თავისი სამსახურის, მუდმივი საქმის ან ქონების მდებარეობის გამო აქვს მუდმივი ან უპირატესი ბინადრობა; არასრულწლოვანის ან მეურვეობაში მყოფი პირის საცხოვრებელ ადგილად ჩაითვლება მისი კანონიერი წარმომადგენლის (მშობელი ან მეურვე) საცხოვრებელი ადგილი.

მე-4 სვეტში—ხელობის (ძირითადი პროფესია) აღნიშვნის დროს საჭიროა აღნიშვნა იმ სამუშაოსი, რომელსაც პიროვნება ამ ჟამად ეწევა; უმუშევრობის შემთხვევაში კი—მისი სამუშაო უმუშევრობამდე.

მე-5 სვეტში, რომელიც ამოწმებს საავალდებულო სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულებას შეივსება იმ ცნობების მიხედვით, რაც იქნება წერილობითი მოწმობაში, პირადი წიგნაკში (პირადი ბარათში) ან სამხედრო სააღრიცხვო ბილეთში (ბარათში). ამასთანავე აღნიშნულ სვეტში იწერება: უკეთუ მოქალაქე:

I. არ იყო გაწვეული ნამდვილ სამხედრო სამსახურში—„წვევამდე“. გასაწვევია ამა და ამ წელში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. განთავისუფლებულია სრულიად სამხედრო სამსახურიდან — „განთავისუფლებულია" (საფუძველი განთავისუფლებისა);

III. ირიცხება სამხედრო აღრიცხვაზე და ხელზე აქვს პირადი ბარათი ან სამხედრო-საღრიცხვო ბილეთი — „ირიცხება მ/გ. წ. არმიის თადარიგში", თადარიგის ხარისხი (უკეთუ აღნიშნული ნაჩვენებია საღრიცხვო საბუთში).

მე-6 სვეტში შეივსება პიროვნების ამა თუ იმ მდგომარეობის მიხედვით, ამასთანავე აღინიშნება: „ქორწინებაშია" და „ქორწინებაში არ იმყოფება".

შენიშვნა 1. დაუშვებელია „ვინაობის მოწმობაში" ოჯახური მდგომარეობის აღსანიშნავად შემდეგი აღნიშვნათა ხმარება: უცოლო, ქალწული, ცოლიანი, ქვრივი, გაყრილი.

შენიშვნა 2. მეურვეობაში მყოფ პირის, „ვინაობის მოწმობის" სვეტში „ოჯახური მდგომარეობა" — უკეთდება სათანადო აღნიშვნა.

მე-6 სვეტში — „ჩამოთვლა არასრულწლოვანებისა და იმ პირთა, რომელნიც „ვინაობის მოწმობაში" შესატანია (მუხ. მუხ. 10 და 13) აღინიშნება:

I. არასრულწლოვანის ან სულით დაავადებულის გვარი, სახელი და მამის სახელი.

II. მისი წლოვანება და

III. მოწმობის მიმღებისადმი ნათესაობა ან სხვა რაიმე დამოკიდებულება.

მე-4, 5 და 6 სვეტები „ვინაობის მოწმობისა" შეივსება სათანადო საბუთების თანახმად (საანგარიშო წიგნაკი, სამხედრო-საღრიცხო საბუთი, მოწმობა დაბადების შესახებ, დადგენილება მეურვეობის შესახებ და სხვ.); ასეთი საბუთების უქონლობის შემთხვევაში მოწმობის გაცემა არ შეჩერდება, მხოლოდ აღნიშნულ სვეტებში იწერება „შეუვსებელია".

დანარჩენი სვეტების შევსება შეიძლება თანახმად სიტყვიერი განცხადებისა იმ პირის, რომელიც იღებს „ვინაობის მოწმობას", ამასთანავე უკეთუ მე 6 სვეტი ივსება სიტყვებიდან, მაშინ მასში ეს გარემოება უნდა აღინიშნოს.

ბ) ბლანკის შევსების შემდეგ, ტეხნიკური თანამშრომელი ბლანკს მიამაგრებს ყველა იმ წარმოდგენილ საბუთებს, რომლების თანახმად მიეცემა „ვინაობის მოწმობა" და ამ სახით გადასცემს ხელის მოსაწერად დაწესებულების უფროსს.

გ) უფროსის მიერ ხელმოწერილი „ვინაობის მოწმობის" ბლანკი ტეხნიკურ თანამშრომელის მიერ იწერება გაცემულ „ვინაობის მოწმობების" საღრიცხო დავთარში (იხ. ინსტრუქცია საქმის წარმოების შესახებ და მისი დანართი № 7 და 8).

დ) ჩაწერის დამთავრების შემდეგ „ვინაობის მოწმობა" მიეცემა განმცხადებელს ხელზე დავთარში ხელის მოწერის ქვეშ.

25. „ვინაობის მოწმობის" გაცემის დროს მიმღებს გადახდება ბლანკის თვითღირებულების თანხა.

შენიშვნა. გარდა ამა მუხლში აღნიშნული გადახდისა, „ვინაობის მოწმობის" გაცემა და მიღება თავისუფალია ყოველგვარ გადასახადისაგან (საღერბო გადასახადი და სხვ.).

26. პიროვნების ოჯახური მდგომარეობის ან ძირითადი პროფესიის შემდეგი ცვლილებების შემთხვევაში, „ვინაობის მოწმობაში" შეიძლება შეტანილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნეს სათანადო აღნიშვნანი, რომელსაც აწარმოებს მოწმობის გამცემი ორგანო მოწმობის პატრონის განცხადების თანახმად და სათანადო საბუთით დადასტურებული. აღნიშნული ცვლილებები შეიტანება მოწმობის პატრონის საცხოვრებელ ადგილზე.

27. „ვინაობის მოწმობის" დაკარგვის შემთხვევაში მოქალაქეს შეიძლება მიეცეს ახალი მოწმობა ინსტრუქციის მე-15 მ. წესისამებრ და პუბლიკაციის შემდეგ დაკარგულ „ვინაობის მოწმობის" გაბათილების შესახებ.

დაკარგულ „ვინაობის მოწმობის" განახლებისათვის საჭირო პუბლიკაციას დაკარგულის გასაბათილებლად ახდენს თავის ხარჯზე მოწმობის პატრონი ადგილობრივ ბეჭდვითი ორგანოში, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლება მიიღოს ამგვარი პუბლიკაციები.

28. „ვინაობის მოწმობის" დაძველების ან რაიმე დაზიანების შემთხვევაში შეიძლება შეცვლილ იქნეს ახალი, უკეთუ წარმოდგენილი იქნება აუცილებლივ ძველი (გამოსაცვლელი) მოწმობა; ამასთანავე წარმოდგენა რაიმე სხვა საბუთებისა არ არის საჭირო.

29. „ვინაობის მოწმობა", რომელიც დარჩა გარდაცვალებულს, წარედგინება სახლთა მმართველობას ან სათანადო ორგანოს მიერ გარდაცვალებულის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მილიციაში, უკანასკნელი აღნიშნავს რა მოწმობის პატრონის გარდაცვალების შესახებ, გადაგზავნის საბუთს იმ მმართველობის ორგანოში, რომელმაც საბუთი გასცა.

2. მოქალაქეთა სახლის დავთარში ჩაწერის შესახებ.

30. ყოველი მოქალაქე, რომელიც მივა ქალაქის ფარგლებში მდებარე სახლში საცხოვრებლად სამ დღეზე მეტი ხნით, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს თავისი მისვლა სახლის მმართველობას (სამოურაოს) და წარუდგინოს ერთ-ერთი ვინაობის დამადასტურებელი საბუთი.

შენიშვნა. უკეთუ ადგილობრივი აღმასკომების დადგენილებით შემოღებულია მოქალაქეთა სავალდებულო ჩაწერა სახლის დავთარში კურორტებზე და სასოფლო მსხვილ ადგილებში, ამა მუხლის მოთხოვნილება ვრცელდება ყველა იმ მოქალაქეებზე, რომლებიც მივლენ ამ ადგილებში (კურორტზე ან სასოფლო ადგილებში).

31. მოქალაქეთა სავალდებულო ჩაწერა სახლის დავთარში წესდება ყველა სახლებში, რომლებიც მოთავსებულია ქალაქის ან კურორტის და მსხვილ სასოფლო ადგილების ფარგლებში, უკეთუ უკანასკნელებში შემოღებულია აღმასკომის დადგენილებით მოქალაქეთა ჩაწერა სახლის დავთარში.

შენიშვნა 1. საავადმყოფოებში ჩაიწერებიან ის მოქალაქენი, რომელნიც ჩამოსულნი არიან სამკურნალოდ უშუალოდ სხვა ადგილებიდან და ჩაწერილნი არ არიან ამ ქალაქში.

შენიშვნა 2. მოქალაქენი, რომელნიც სავალდებულო სამხედრო სამსახურს იხდიან და ცხოვრობენ ყაზარმებში, არ ჩაეწერებიან სახლის დავთარში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

32. სავალდებულო ჩაწერა სახლის დავთარში ვრცელდება მხოლოდ იმ მოქალაქეებზე, რომლებსაც შეუსრულდათ 16 წელი; ამ შემთხვევაში, მიუხედავათ ერთად ცხოვრებისა, მოქალაქე ჩაწერილი უნდა იქნეს ცალკე სამისამართო ფურცელით; ამასთანავე თვალყურისდევნება სახლის დავთარში ჩანაწერების მიხედვით 16 წლამდე მოქალაქეთა წლოვანების მოძრაობაზე ევალება იმ პირებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სახლებში ჩაწერისათვის.

მოქალაქენი, რომლებიც ცხოვრობენ დამოუკიდებლად, ან კმაყოფაზე მყოფნი, რომლებიც ცხოვრობენ ცალკე იმ პირისაგან, რომლის კმაყოფაზედ იმყოფებიან, უნდა აუცილებლივ ჩაწერილ იქმნენ, დამოუკიდებლად წლოვანობისა.

33. ჩაწერისათვის ჩამოსულ მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს ერთ-ერთი ის დოკუმენტი, რაც ჩამოთვლილია ამა ინსტრუქციის მე-2 მუხლში.

შენიშვნა 1. 16 წლამდე მოქალაქენი, რომელთაც არა აქვთ პირადი საბუთები, ჩაიწერებიან ცალკე იმ პირის საბუთების მიხედვით, რომლის კმაყოფაზე იმყოფებიან.

შენიშვნა 2. უცხოელი მოქალაქენი ჩაწერისათვის ვალდებულნი არიან წარადგინონ მათთვის დაწესებული საცხოვრებელი საბუთი.

34. უკეთუ მისულ პირს ვინაობის დამადასტურებლად არ ექნება არც ერთი საბუთი, იგი შეიძლება დროებით, ხოლო არა უმეტეს სამი თვისა, ჩაიწეროს სახლის დავთარში მისივე წერილობითი განცხადების მიხედვით, რაც ყველა საჭირო ცნობას უნდა შეიცავდეს.

შენიშვნა. მისული პირი ვალდებულია სამი თვის განმავლობაში წარადგინოს რაიმე საბუთი, რომელიც ადასტურებს მის ვინაობას.

35. სახლის სამოურაო, სახლის პატრონი ან მოიჯარადრე ვალდებულია 72 საათის განმავლობაში მისვლის შესახებ განცხადების მომენტიდან შეიტანოს მიღებული ცნობა მისულ პირის შესახებ სახლის დავთარში, შეადგინოს ჩამოსულთათვის სამისამართო ფურცელი, თანახმად დებულებისა სამისამართო ბიუროების (მაგიდების) შესახებ—შ.ს.ს.კ. ადმინ. განყ. ბრძანება № 281—3/VI-26 წ. და ჩანაწერი გაატაროს რეგისტრაციაში სათანადო სამილიციო რაიონში (მაზრის სამმართველოში), წარადგენს რა ამასთანავე სახლის დავთარს, სამისამართო ფურცელს და მისულ მოქალაქის საბუთს სათანადო აღნიშვნისათვის.

შენიშვნა. ამა მუხლის მოთხოვნა სასტუმროს და საცხოვრებლად მოწყობილი ოთახების ადმინისტრაციამ უნდა შეასრულოს 12 საათის განმავლობაში, უკეთუ მდგმური საცხოვრებლად რჩება არა ნაკლებ 24 საათისა.

36. სახლის სამოურაო ვალდებულია, გარდა ვინაობის დამადასტურებელ საბუთებისა, მოსთხოვოს მისულ სამხედრო-ვალდებულ პირს, პირადი წიგნაკი და სხვა საბუთი, საიდანაც ირკვევა მისი დამოკიდებულება სამხედრო სამსახურთან (სამხედრო საალრიცხო ბილეთი და სხვ.).

37. უკეთუ სამხედრო-ვალდებული არ წარადგენს სამხედრო-საალრიცხო საბუთს, სახლთა სამოურაოს არა აქვს უფლება მისული სამხედრო-ვალდებული ჩასწეროს სახლის დავთარში და დაუშვას საცხოვრებლად სახლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა იმ შემთხვევებში, როდესაც სამხედრო ვალდებული მოქალაქე არ შეასრულებს სახლთა სამოურაოს კანონიერ მოთხოვნას, უკანასკნელი აცნობებს ადგილობრივ სამილიციო ორგანოს.

38. მილიცია ღებულობს ყველა კანონიერ ზომებს იმისათვის, რომ მოქალაქეებმა, რომლებსაც არა აქვთ სამხედრო-საალრიცხო საბუთი, აუცილებლივ გამოარკვიონ ადგილობრივ სამხედრო კომისარიატში თავისი დამოკიდებულება სამხედრო ბეგარის მოხდასთან.

39. მოქალაქის საცხოვრებელ ადგილიდან წასვლის შემთხვევაში, სახლის სამოურაო ვალდებულია 2 დღის განმავლობაში სათანადოთ აღნიშნოს სახლის დავთარში, შეადგინოს წასულთათვის სამისამართო ფურცელი და წარადგინოს ადგილობრივ მილიციაში სარეგისტრაციოდ.

40. როგორც ჩაწერის, ისე ამოწერის დროს, უკეთუ წარმოდგენილია საბუთი, სამილიციო ორგანოები ადებენ სათანადო შტამპს.

შენიშვნა. ჩაწერისათვის ყველა წარმოდგენილ საბუთებზე, რომლებსაც არა აქვთ სპეციალური ადგილი ზემოხსენებულ შტამპის დასადებათ, საჭიროა მიკერება ან მიკვრა საკმარისი რაოდენობის სუფთა ქაღალდისა წარმოდგენილ საბუთის ოფიციალურ ტექსტის შემდეგ (ბოლოში). აღსანიშნავად ჩაწერის და ამოწერის დროს მილიციას შეუძლიან ისარგებლოს მხოლოდ მიკერებულ ან მიკვრულ ფურცლებით. სპეციალურ დანიშნულების ფურცლებზე, მაგალითად პროფკავშირის წიგნაკის ფურცლები, შტამპის დადება არ შეიძლება.

41. ყველა პირადი საბუთები უბრუნდება პატრონს დაუყოვნებლივ სათანადო აღნიშვნის შემდეგ ჩაწერის ან ამოწერის რეგისტრაციის შესახებ.

42. სახლთა სამოურაოს მიერ წარმოდგენილი სამისამართო ფურცლები იხარისხება მილიციის მიერ და იგზავნება სამისამართო ბიუროში (მაგიდაში).

43. სახლის პატრონს, მოიჯარადრეს და სახლის სამოურაოს პასუხისმგებელ პირს მოქალაქეთა სახლის დავთარში ჩაწერისათვის დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის დაედება ადმინისტრატიული წესით ფულადი გადასახდელი არა უმეტეს 25 მანეთისა.

44. სამილიციო ორგანოებს ევალებათ:

ა) იქონიონ მეთვალყურეობა, რათა მოქალაქეთა ჩაწერის და ამოწერისათვის პასუხისმგებელ პირებმა შეასრულონ თავისი მოვალეობა, მხოლოდ შეუსრულებლობის შემთხვევაში მისცენ დამნაშავე პირები პასუხისგებაში და

ბ) აღმოუჩინონ სახლის ადმინისტრაციას ყოველგვარი დახმარება ამა ინსტრუქციის მოთხოვნათა ცხოვრებაში გასატარებლად.

45. ამა ინსტრუქციის გამოცემით გაუქმებულია ყველა წინად გამოცემული ინსტრუქციები ამა საკითხზე.

ტუ ინსტრუქციის

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ბერია.**

ადმინისტრატიულ სამმართველოს უფროსის,
რესპუბლიკის მილიციის უფროსის მოადგილე **მაჭავარიანი.**

მუხანაურული
ბიბლიოთეკა

შინაგან საქმეთა და იუსტიციის სახალხო კომისარ. განკარგულებანი.

13. ინსტრუქცია

1928 წ. მაისის 31.

დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და კერძო პირთა მიერ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ბაირაღით სარგებლობის წესის შესახებ.

(გამოცემულია თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. მარტის 21 თარიღის და 16 №-ით დადგენილების მე-4 მუხლისა—კან. კრ. 1928 წ. № 4, მუხ. 32).

1. საქართველოს ს. ს. რ. სახელმწიფო ბაირაღი, სწორკუთხედი წითელი (ალის) ფერი ქსოვილისაგან, რომლის სიგრძე შეეფარდება სიგანეს, როგორც 2 : 1, და რომლის მარცხენა ზემო კუთხეში, ტართან, მოთავსებულია ოქროს ასოები „ს. ს. ს. რ.“, აღმართულ უნდა იქნეს:

ა) იმ შენობაზე, სადაც მოხდება სრულიად საქართველოს და ადგილობრივ (სამაზრო და სათემო) საბჭოთა ყრილობა და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიის სხდომები—ყრილობის ან სესიის დაწყებიდან დამთავრებამდე;

ბ) სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს, აგრეთვე ყველა ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის და საბჭოს შენობაზე—მუდმივ;

გ) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის დანარჩენ სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოთა შენობებზე (სახალხო კომისარიატისა, ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებისა და სხვ.), აგრეთვე საქართველოს ს. ს. რ. სახელმწიფო საწარმოთა და მათ შენაერთთა (ტრესტის, სინდიკატის და სხვ.) შენობებზე,—საერთო პროლეტარულ, საერთო საკავშირო, რესპუბლიკანურ და ადგილობრივ უქმე და საზეიმო დღეებში.

2. საერთო პროლეტარულ და საერთო საკავშირო უქმე და საზეიმო დღეებში ყველა სახელმწიფო ორგანიზაციის და დაწესებულების შენობაზე, გარდა 1-ლ მუხლში აღნიშნულ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შენობებისა, მაგალითად: სასწავლებლების, საავადმყოფოების, თეატრების და სხვ. შენობებზე, აღიმართება წითელი (ალის) ფერის ქსოვილის ბაირაღი უწარწეროთ, სწორკუთხედი, რომლის ქსოვილის სიგრძე შეეფარდება სიგანეს, როგორც 2 : 1.

3. მე-2 მუხლში აღნიშნული მოვალეობა ბაირაღის გამოკიდვისა საერთო პროლეტარულ და საერთო საკავშირო უქმე და საზეიმო დღეებში ვრცელდება აგრეთვე პროფესიონალურ, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა, დაწესებულებებსა და საწარმოებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. კერძო პირებს, დაწესებულებებს, საწარმოებს და ორგანიზაციებს შეუძლიანთ, თუ მოისურვებენ, გამოჰკიდონ მე-2 მუხლში აღნიშნული ბაირაღი თავის სახლების, მაღაზიების, და დაწესებულებების და სხვ. ფასადებზე საერთო პროლეტარულ და საერთო საკავშირო და აგრეთვე რესპუბლიკანურ და ადგილობრივ უქმე და საზეიმო დღეებში.

5. იმ დაწესებულებამ, ორგანიზაციამ ან პირმა, რომელიც მოვალეა ბაირაღი გამოჰკიდოს, ეს ბაირაღი უნდა შეიძინოს თავისი ხარჯით.

6. ამა ინსტრუქციის შესრულებისათვის თვალყურის დევნა ეკისრება მილიციის ორგანოებს.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ა. ბერია.**

იუსტიციის სახალხო კომისარი **ი. ვარძიელი.**

იუსტიციის და ფინანსთა სახალხო კომისარიატ. განკარგულებანი.

14. წ ე ს ი

სანოტარო მოქმედების სასყიდლის გადახდისა.

1. სახელმწიფო სანოტარო კონტორის ან სახალხო მოსამართლის მიერ შესრულებული ყოველი სანოტარო მოქმედებისათვის უნდა გადახდილ იქნეს სასყიდელი ამასთანავე დართული ნიხრით განსაზღვრული განაკვეთების მიხედვით.

შენიშვნა. სასყიდელი თემის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ შესრულებულ სანოტარო მოქმედებისათვის, უნდა გადახდილ იქნეს განსაკუთრებული ნიხრით.

2. სასყიდელი სანოტარო მოქმედებისათვის არ გადახდება ისეთ გარიგებებს და დოკუმენტებს, რომელიც ჩამოთვლილია ამასთანავე დართული ნუსხის (სანოტარო სასყიდლისაგან განთავისუფლებული დაწესებულებების, დოკუმენტების და პირების ნუსხა) მე-2 ნაწილში.

3. აღნიშნული ნუსხის 1-ნაწილში ჩამოთვლილი პირნი და დაწესებულებანი არ განთავისუფლდებიან სანოტარო მოქმედების სასყიდლისაგან იმ შემთხვევაში, თუ მათთან ერთად ერთ მხარეზე გარიგებასა და დოკუმენტში მონაწილეობას იღებს ისეთი პირი, ვინც განთავისუფლებული არ არის სანოტარო სასყიდლისაგან.

ხოლო, თუ გარიგებაში მონაწილე ერთი მხარე განთავისუფლებულია სანოტარო სასყიდლისაგან, მეორე კი განთავისუფლებული არ არის, ეს უკანასკნელი იხდის მხოლოდ იმდენ სასყიდელს, რაც მას შეხვდება.

4. ნოტარს ან სანოტარო მოქმედების აღმასრულებელ სხვა პირს შეუძლიან სანოტარო სასყიდლისაგან გაანთავისუფლოს ისეთი პირიც, ვინც ნუსხაში არ არის აღნიშნული, თუ მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით სცნობს, რომ მას უსახსროების გამო არ ძალუძს აღნიშნული სასყიდლის გადახდა. ეს წესი არ გავრცელდება გარიგებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. სანოტარო მოქმედების სასყიდელი უნდა გადახდილ იქნეს ამ მოქმედების შესრულებამდე.

6. სანოტარო მოქმედების სასყიდლის ნაწილ-ნაწილ გადახდა არ შეიძლება.

7. გარიგების თანხის გამოანგარიშება სანოტარო სასყიდლის გამოსარკვევად ხდება იმავე წესით, რითაც ხდება საღერბო გამოსაღების გამოანგარიშება. ამასთან არა სრული ასი მანეთი სრულ ას მანეთად ჩაითვლება.

8. თუ სანოტარო წესით დასამოწმებელი გარიგების თანხა გამორკვეული არ არის, დამოწმების დროს გადახდილ უნდა იქნეს ხუთი მანეთი (ნიხრის მე-6 მუხ.). თუ გამორკვეულია გარიგების თანხის რაიმე ნაწილი, სასყიდელი გადახდება ამ გამორკვეულ ნაწილს, ნიხრის სათანადო განაკვეთის მიხედვით. ხოლო შემდეგ, გარიგების თანხის გამორკვევისდა გვარად, სასყიდელი უნდა გადახდეს გამორკვეულ თანხაზე ორი კვირის განმავლობაში დღიდან გამორკვევისა იმ სათანადო განაკვეთების მიხედვით, რაც გამორკვევის დღეს მოქმედობდა. ამ გარიგების დამოწმების დროს უკვე გადახდილი ხუთი მანეთი ჩაითვლება გარიგების თანხის მიხედვით გადასახდელ სასყიდელში.

შენიშვნა. სანოტარო წესით დამოწმებული გარიგების ასლი, რომელზედაც უნდა გადახდევინებულ იქნეს დამატებითი სასყიდელი და ადგილობრივი გამოსაღები, სანოტარო კონტორამ უნდა გაუგზავნოს, არა უგვიანეს ორი კვირისა გარიგების დამოწმების დღიდან, სათანადო ფინორგანოს, ეს უკანასკნელი თვითონ უშუალოდ გადაახდევინებს დამატებით სასყიდელს და შეიტანს მას იუსტიციის სახ. კომისარიატში სანოტარო სასყიდლის სახით შემოსულ სპეციალურ სახსრად.

9. უკეთუ გარიგებაში მონაწილენი წინა მუხლში აღნიშნული ვადის განმავლობაში არ შეიტანენ დამატებით სასყიდელს, მათ, იმ მონაწილეს გამოკლებით, ვინც განთავისუფლებულია სანოტარო სასყიდლისაგან, გადასახდელი სასყიდლის გარდა, გადახდებათ სოლიდარულად ჯარიმა აღნიშნული სასყიდლის რაოდენობით.

სახელმწიფო დაწესებულებას და ხარჯთაღრიცხვის წესით მომქმედ სახელმწიფო საწარმოს სანოტარო სასყიდლის ვადაზე შეუტანლობისათვის ჯარიმა არ დაედებათ, ხოლო ის თანამდებობის პირი, ვის გამოც აღნიშნული სასყიდელი ვადაზე არ იყო შეტანილი, მისი უფროსის განკარგულებით, მიიცემა პასუხისგებაში სადისციპლინო წესით.

10. სანოტარო კონტორები აწარმოებენ იმ გარიგებათა აღნუსხვას, რომელთაც, იუსტიციის სახ. კომისარიატის მიერ ფინანსთა სახ. კომისარიატთან შეთანხმებით გამოცემული წესით, უნდა გადახდეთ დამატებითი სანოტარო სასყიდელი.

11. უკეთუ სამაზრო საფინანსო განყოფილება აღმოაჩენს, რომ სანოტარო დამატებითი სასყიდელი ვადაზე არ ყოფილა შემოტანილი, იგი გამოიტანს დადგენილებას იმ პირთა დაჯარიმების შესახებ, ვინც ვადაზე არ შეიტანა სასყიდელი, და გადაახდევინებს მათ სასყიდელს და ჯარიმას უდავო წესით „გადასახადთა აკრეფის დებულებისამებრ“ (კან. კრებ. 1925 წ. № 70, 158 მუხ.). ამავე დროს, თუ აღნიშნული სასყიდელი თანამდებობის პირის მიზეზით არ იქნება ვადაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეტანილი, ეს ეცნობება იმ პირის უფროსს მის მისაცემად პასუხისგებაში სადისციპლინო წესით.

12. საფინანსო განყოფილების დადგენილება შეიძლება ორი კვირის განმავლობაში განსაჩივრებულ იქნეს საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატში. საჩივრის შეტანა გადახდევინებას ვერ შეაჩერებს, მაგრამ საფინანსო განყოფილებას უფლება აქვს შეაჩეროს გადახდევინება.

13. უკეთუ სანოტარო კონტორა აღმოაჩენს, რომ სანოტარო სასყიდელი ვადაზე არ ყოფილა შეტანილი, იგი გამოიანგარიშებს ამ სასყიდელს და დასადებ ჯარიმას და თუ სათანადო მხარე არ გადიხდის დაუყოვნებლივ სასყიდელს და ჯარიმას, ამას სანოტარო კანტორა აცნობებს საფინანსო განყოფილებას გადასახდევინებლად უდავო წესით. თანამდებობის პირის მიერ ჩადენილი დარღვევა ეცნობება მის უფროსს.

სანოტარო კანტორის მიერ სასყიდლის და ჯარიმის გამოანგარიშება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს სამაზრო სასამართლოში სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 231—233 მუხ. აღნიშნული საერთო წესით.

14. სანოტარო მოქმედების დამატებით სასყიდლის გადახდისთანავე უნდა შეტანილ იქნეს ამ სასყიდელზე ადგილობრივი სახსრის გასაძლიერებლად დაწესებული ზედნართი.

15. ზედმეტად გადახდილი სასყიდელი, აგრეთვე სასყიდელი, გადახდილი ისეთი აქტის გამო, რომლის ქმნაზე სანოტარო კონტორამ ან თვით მხარეებმა უარი სთქვეს, ან და ისეთი აქტის გამო, რომლის ქმნა სასამართლომ სწორად არ სცნო, კანტორამ უნდა დაუბრუნოს გადამხდელს ან ჩაუთვალოს ახალი აქტის ქმნის დროს.

გადამხდელს არ დაუბრუნდება მხოლოდ ის სასყიდელი, რაც გადახდილია ტეხნიკური სამუშაოს შესრულებისათვის, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც აქტის ქმნა სასამართლომ სწორედ არა სცნო.

გადახდილი სასყიდლის უკან დაბრუნების შესახებ განცხადების შეტანისათვის დაწესებულია ერთი წლის ვადა დღიდან სასყიდლის გადახდისა.

16. ამა წესების გამოცემისთანავე ძალას ჰკარგავს ყველა წინათ გამოცემული წესი სანოტარო მოქმედების სასყიდლის გადახდისა.

იუსტიციის სახალხო კომისარი **ი. ვარძიელი.**

ფინანსთა სახალხო კომისარი **გ. მგალობლიშვილი.**

1928 წ. აპრილის 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუსხა

სანოტარო სასყიდლისაგან განთავისუფლებული დაწესებულებების, პირების და დოკუმენტებისა.

I. სანოტარო სასყიდლისაგან განთავისუფლებული დაწესებულებანი და პირნი:

1. გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტი.

2. სოციალური უზრუნველყოფის ორგანოთა მიერ მოწყობილი ინვალიდების კოოპერატიული შენაერთი.

3. ბავშთა უპატრონობასთან საბრძოლველად დაარსებული საზოგადოებრივი ორგანიზაცია ყველა თავისი საწარმოთი.

4. შრომის ბირჟის მიერ მოწყობილი და მის გამგებლობაში მყოფი საწარმოებლო და სავაჭრო საწარმო, აგრეთვე უმუშევართა შრომითი კოლექტივები და შრომის ბირჟასთან მოწყობილი საწარმოს ან კოლექტივის გამგეობა (სამართველო).

5. ის პირი, ვინც სამოქ. საპ. კოდ. 44 მუხლის „გ" პუნქტით განთავისუფლებულია სასამართლო საქმეებზე გადასახდელ გამოსაღებისაგან, განთავისუფლდება სანოტარო სასყიდლისაგან ისეთი დოკუმენტის და ასლის შემოწმების დროს, რომელიც უნდა წარადგინოს სასამართლო გამოსაღებისაგან განთავისუფლებულ საქმეებზე.

6. ის პირი, ვინც სოციალურ უზრუნველყოფაზე იმყოფება.

7. ის პირი, ვინც სრულიად საქ. საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების ორგანოთა ნებართვით, მიემგზავრება საზღვარგარეთ ნათესავებთან, განთავისუფლდება სანოტარო სასყიდლისაგან იმ დოკუმენტების შემოწმების დროს, რომელიც უნდა წარუდგინოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს და უცხო ქვეყნის საკონსულოს.

8. საახალშენო ამხანაგობა, არტელი და სხვა შენაერთი.

9. წყალზე მაშველთა ნებაყოფლობით საზოგადოება იმ დოკუმენტების შემოწმების დროს, რაც უკვე არსებულ და ახლად მოწყობილ საზოგადოებათა ორგანიზაცია-რეგისტრაციას შეეხება. (ს. ს. რ. კ-რის კან. კრებ. 1925 წ. № 57, 433 მუხ.).

10. საპატიმრო ადგილთა მუშური ნაწილები.

11. საურთიერთო დახმარების შრომითი სალარო.

12. წითელი ჯვარი და წითელი ნახევარმთვარე.

II. სანოტარო სასყიდლისაგან განთავისუფლებული დოკუმენტები:

1. საბინაო კოოპერაციის კავშირებისა და ამ ორგანიზაციების მიერ საალმშენებლო საჭიროებისათვის ქმნილი დოკუმენტები, ვინც მუშათა საბინაო-საალმშენებლო საქმეს ეწევა.

2. მოხალისეთა სახანძრო ორგანიზაციის ყველა ის დოკუმენტი, რაც კი დაკავშირებულია ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბებასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მთავარ საკურორტო სამმართველოსა და მის ორგანოებთან, აგრეთვე ადგილობრივ საკურორტო შენაერთთან დადებული ხელშეკრულება სანატორიუმის და სხვა სამკურნალო საკურორტო დაწესებულების ან ამ სანატორიუმსა თუ დაწესებულებაში ცალკე საწოლის დაქირავების შესახებ მარტოოდენ მუშების, მოსამსახურეების და ინვალიდების წამლობისათვის.

4. დოკუმენტი ისეთ საქმეზე, რაც დაკავშირებულია გაწვევასთან სამხედრო სამსახურის მოხდასთან.

5. საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ფინანსთა სახ. კომისარიატის მიერ ოქროს შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულება, აგრეთვე ხელშეკრულება ოქროს შესყიდვის შესახებ, დადებული ფინანსთა სახ. კომისარიატის კონტრაგენტის მიერ იმ მანდატის ძალით, რასაც აღნიშნული კომისარიატი მისცემს ს. ს. რ. კ. სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. სექტემბრის 23-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ) დადგენილება „სახელმწიფო და კერძო მრეწველობის გაძლიერების შესახებ“ ს. ს. რ. კ. კან. კრებ. 1924 წ. № 15, 151 მუხ.).

6. სახელმწიფო სათესლე სესხის ხელშეკრულება, დადებული უშუალოდ მოსახლეობასთან.

7. შრომის განყოფილებასა და სახელმწიფო ორგანოს შორის დადებული ხელშეკრულება ამ განყოფილების მიერ საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულების შესახებ.

8. ხელშეკრულება, დადებული ომის ინვალიდთა სრულიად საქართველოს კომიტეტის მიერ თვისი დებულების ფარგლებში.

9. სასოფლო-მეურნეობის ელექტროფიკაციის საჭირობისათვის დადებული ხელშეკრულება ყოველგვარ ძრავის, ელექტრო-მანქანების, ხელსაწყოსი და მასალის მიწოდების შესახებ ელექტრო სადგურების და ქვე-სადგურების მოსაწყობად, ხელშეკრულება ელექტრო-გადამცემების, დაბალი და მაღალი ჭინვის და დენის ქსელების, ელექტრო-მიმღებლების და ელექტროს ენერგიით მომქმედი მანქანების მიწოდების შესახებ სოფლის მოსახლეობისათვის მათი სამეურნეო-სამრეწველო და კულტურული საჭიროების დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე ისეთი წვრილი სამეურნეო საწარმოსათვის, სადაც ხდება თავდაპირველი გადამუშავება სოფლის მეურნეობის ან შინამრეწველობის პროდუქციისა, და ბოლოს ხელშეკრულება ზემოთაღნიშნულ ელექტროდადგმულებათა აგებისა და მომართვის შესახებ; საკრედიტო გარიგება, დადებული სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციისათვის საჭირო ელექროდადგმულების ასაგებად და მოსამართავად; ხელშეკრულება სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციისათვის საჭირო ქონების იჯარის შესახებ (ს. ს. რ. კ. კან. კრებ. 1926 წ. № 3,63 მუხ.).

10. ყოველგვარი დოკუმენტი, რომელიც შეეხება სამუშაო ხელფასის და მასთან გათანაბრებული გადასახდელის, სარჩოსი, აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის და დაზღვევის პენსიების და დახმარების მიღებას და გადახდევინებას.

11. შენობის და აღნაგობის უფლების შეკვრა და ამის შესახებ ცნობის მიცემა უდავო წესით გადამხდევინებელი სახელმწიფო ორგანოსა და თანამდებობის პირისათვის სისხლის სამართლის საქმეებზე და აგრეთვე იმ პირის საქმეზე, ვინც სასამართლოს მიერ, სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 44 მუხ. „გ“ პუნქტის ძალით ხელმოკლედ იქნება ცნობილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. ისეთი გარიგება, სადაც მონაწილეობას იღებს რევოლიუციის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოება, თუ კანონით ამ გარიგების სანოტარო წესით დამოწმება სავალდებულოა; აგრეთვე გარიგება, დადებული საავიაციო-ქიმიური თავდაცვისათვის დამხმარე საზოგადობის მიერ.

13. ამა ნუსხის გამოცემისთანავე ძალას ჰგარგავს ყველა წინათ გამოცემული ნუსხა „სანოტარო სასყიდლისაგან განთავისუფლებულ დაწესებულების, პირების და დოკუმენტებისა".

იუსტიციის სახალხო კომისარი **ი. ვარძიელი.**

ფინანსთა სახალხო კომისარი **გ. მგალობლიშვილი.**

1928 წ. აპრილის 10.

ნ ი ხ რ ი

სანოტარო მოქმედების სასყიდლისა.

1. სანოტარო წესით დამოწმებისათვის გადახდილ უნდა იქნეს:

ა) სესხის ხელშეკრულების დამოწმებისათვის (თამასუქის, სესხის და სხვა სავალო ვალდებულებისა), და ანგარიშების და სხვ. შემოწმებისათვის—გარიგების თანხის $^1/_2$%, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ ერთი მანეთისა.

ბ) წინასწარი ნასყიდობის და სხვა წინასწარი ხელშეკრულებისა, აგრეთვე ისეთი გირავნობის ხელშეკრულების დამოწმებისათვის, რაც დადებულია სანოტარო წესით დამოწმებული გარიგებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად—გარიგების თანხის $^1/_2$%, მაგრამ არა ნაკლებ 5 მანეთისა.

2. ისეთი გირავნობის ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისათვის რაც დადებულ იქნება მშენებლობის საჭიროებისათვის აღებული სესხის გამო, აგრეთვე აღნაგობის უფლების გირავნობის ხელშეკრულებისა—გარიგების თანხის $^1/_4$% მაგრამ არა ნაკლებ მანეთნახევრისა.

3. სანოტარო წესით დამოწმებისათვის:

ა. ამხანაგობისა (სრული და ნდობის) შენაერთი კაპიტალის 1%, მაგრამ არა ნაკლებ 20 მანეთისა.

ბ. ამხანაგობისა (მარტივი) შენაერთი კაპიტალის 1%, მაგრამ არა ნაკლებ 5 მანეთისა.

გ. ამხანაგობისა (მარტივი, სრული და ნდობის), სადაც თუნდაც ერთ მხარედ მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანოები ან სახელმწიფო ორგანიზაციის თანაბარი სხვა ორგანიზაცია—ხელშეკრულების თანხის $^1/_2$%, მაგრამ არა ნაკლებ 5 მანეთისა.

4. ისეთი ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისათვის, რაც დადებულ იქნება სააქციო საზოგადოების (საპაიო ამხანაგობის) დასაარსებლად და აგრეთვე ამხანაგობისა შეზღუდული პასუხისმგებელობით—100 მან.

5. ისეთი ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისათვის, რაც დადებულ იქნება საქართველოს სახ. მეურ. უმაღლესი საბჭოს მიერ სამთო სამრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წველო საწარმოსთან ამ უკანასკნელისათვის უკვე აღმოჩენილი მთამადნეულის საბადოს იჯარით გადაცემის შესახებ (25 მუხ. დებულებისა „წიაღისა და მისი დამუშავების შესახებ“ ს. ს. რ. კ-რის მუშათა და გლეხ. მთავრობის „მაუწყებელი“ № 1, 19 მუხ.) და აგრეთვე „მადნეულობა-ლითონის ვაჭრობა“ („рудметалторг“)-სთან დადებულ ხელშეკრულებისა—ხელშეკრულების თანხის $^1/_{16}$%, მაგრამ არა ნაკლებ —3 მანეთისა.

6. სანოტარო წესით დამოწმებისათვის:

ა. ისეთი გარიგებისა, რომლის შეფასებაც არ შეიძლება—5 მან.

ბ. აღნაგობის უფლების დასამყარებლად დადებული ხელშეკრულებისა—ხელშეკრულების თანხის $^1/_4$% მაგრამ არა ნაკლებ 1 მანეთისა, ხოლო თუ აღმნაგი, ხელშეკრულების პირობების თანახმად, იხდის მხოლოდ იმდენ საიჯარო ქირას, რამდენიც უდრის ძირითადი და დამატებითი საადგილმამულო რენტის განაკვეთს—1 მან.

შენიშვნა. ისეთი ხელშეკრულების დამოწმებისათვის, რომლითაც მყარდება აღნაგობის უფლება მუშა-მოსამსახურეთა სასარგებლოდ —ხელშეკრულების თანხის $^1/_{10}$%, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ 1 მანეთისა.

7. სანოტარო წესით დამოწმებისათვის:

ა. ანდერძისა—5 მან.

ბ. სამედიატორო ხელწერილისა—მხარეთა მიერ განცხადებული თანხის $^1/_2$%, მაგრამ არა უმეტეს5 მანეთისა.

გ. გაყოფის შესახებ დადებული ხელშეკრულებისა—მხარეთა მიერ განცხადებული თანხის $^1/_2$%, მაგრამ არა ნაკლებ 5 მანეთისა.

დ. მინდობილობის ხელშეკრულებისა—3 მან.

8. ისეთი გარიგების სანოტარო წესით დამოწმებისათვის, რომელზედაც არა ვრცელდება 27 მუხ. და რომელშიაც თუნდაც ერთ მხარედ მონაწილეობას იღებს სახელმწიფო ან კოოპერატიული ორგანო, ან და საზოგადებრივი ორგანიზაცია გარიგების თანხის 0,4%, მაგრამ არა ნაკლებ ერთი მანეთისა.

9. სანოტარო წესით დამოწმებისათვის:

ა. შენობის გაჩუქების, გასხვისების და გაცვლილობის აქტისა—შენობის უმაღლესი შეფასების თანხის $^1/_2$%, ხოლო სხვა ქონების გაჩუქების, გასხვისების, აღნაგობის უფლების, შენობის დაგირავების და საჯარო ვაჭრობით შენობი შეძენის აქტისა—გარიგების თანაის 0,6%, მაგრამ არა ნაკლებ 5 მანეთისა ყველა შემთხვევაში.

შენიშვნა. მუშა მოსამსახურეთა მიერ აღნაგობის უფლების შეძენის აქტისა—გარიგების თანხის 0,2%, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ 1 მანეთისა.

ბ. ამავე გარიგებისა (რაც კი ამ მუხ. „ა“ პუნქტშია აღნიშნული), თუ იქ, თუნდაც ერთ მხარედ მონაწილეობას იღებდეს სახელმწიფო ან კოოპერატიული ორგანო, ან და საზოგადოებრივი ორგანიზაცია—შეფასების თანხის ან მხარეთა მიერ განცხადებული თანხის $^1/_4$%, ხოლო არა ნაკლებ 3 მან.

გ. ყველა სხვა გარიგებისა, ამა მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარიგებათა გარდა, როგორიც არის: ყოველგვარი ქონების, შენობების გარდა, გირავნობა, გასხვისება და გაცვლილობა, ქირავნობა, საწარმოს, სადგომის და სხვა ქონების, მათ შორის შენობების დაქირავება და იჯარა, ნარდად მუშაობა, მიწოდებით ყიდვა, საკომისიო ხელშეკრულება და სხვ.—გარიგების თანხის 0,6%, მაგრამ არა ნაკლებ 1 მანეთისა.

10. გარიგებაზე წარწერის გაკეთებისათვის:

ა. გადაცემის წარწერისა—პირვანდელი განაკვეთის 50% გადასაცემი უფლება-მოვალეობის თანხის მიხედვით.

ბ. ისეთი წარწერისა, რითაც გარიგების შინაარსი იცვლება (გარიგების განსავითარებლად, შესავსებად და განაამარტავად გაკეთებული წარწერისა):

1. თუ გადიდებულია თანხა—სასყიდელი გადახდება იმ თანხას, რამდენათაც გარიგების თანხა გადიდდა, პირვანდელი სასყიდლის განაკვეთის მიხედვით.

2. თუ გარიგების თანხა არ არის გადიდებული—1 მანეთი.

3. თუ წარწერა გაკეთებულია გარიგების მოსაშლელად, მოსასპობად ან მაზე ანგარიშის გასასწორებლად—1 მან.

გ. სრული ან ნდობის ამხანაგობის ხელშეკრულებაზე გაკეთებული წარწერისა—ხელშეკრულების თანხის გაუდიდებლად—10 მან., ხოლო გადიდების დროს სასყიდელი გადახდება იმ თანხას, რამდენითაც ხელშეკრულების თანხა გადიდდა პირვანდელი სასყიდლის განაკვეთის მიხედვით.

დ. მარტივი ამხანაგობის ხელშეკრულებაზე გაკეთებული წარწერისა—ხელშეკრულების თანხის გაუდიდებლად—1 მან., ხოლო გადიდების დროს სასყიდელი გადახდება იმ თანხას, რამდენითაც ხელშეკრულების თანხა გადიდდა, პირვანდელი სისყიდლის განაკვეთის მიხედვით.

11. რწმუნებულების სანოტარო წესით დამოწმებისათვის:

ა. ქონების განსაგებად მიცემული რწმუნებულებისა, შრომითი სამიწათმოქმედო მეურნეობის (კომლის) ქონების გარდა—5 მან.

ბ) შრომითი სამიწათმოქმედო მეურნეობის (კომლის) ქონების განსაგებად მიცემული რწმუნებულებისა—50 კაპ.

გ. სავაჭროდ მიცემული:

1. საერთო რწმუნებულებისა— 5 მან.

2. ცალკე მოქმედების შესასრულებლად მიცემული რწმუნებულებისა – 3 მან.

დ. ფულის, ამანათის, დაკვეთილი და სხვა კორესპოდენციის მისაღებად ყოველ ცალკე შემთხვევაში მიცემული რწმუნებულებისა—10 კ., ხოლო საერთო რწმუნებულებისა—1 მან.

ე. ბანკის მეშვეობით გაგზავნილი ფულის მისაღებად გაცემული რწმუნებულებისა —ყოველ ცალკე შემთხვევაში—1 მ., ხოლო საერთო რწმუნებულებისა—5 მ.

ვ. ყველა სხვა რწმუნებულებისა—1 მან.

ზ. უკეთუ რწმუნებულება რამდენიმე პირს (ფიზიკურ ან იურიდიულ) ეძლევა, იმ სასყიდლის გარდა, რაც დაწესებულია „ა“, „გ“, „ე“ და „ვ“ პუნქტებით, ყველა ამ პირს, პირველის გამოკლებით, გადახდებათ 50 კაპ. მათვე გადახდებათ „ბ“ და “დ“ პუნქტებით დაწესებული სასყიდლის გარდა—5 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. რწმუნების წარწერის შემოწმებისათვის:

ა) საფოსტო უწყებაზე, დუბლიკატზე, ფულის გასაგზავნ ბარათზე და სხვ., გარდა ბანკის მეშვეობით ფულის გასაგზავნ ბარათისა—10 კ.

ბ. ყველა სხვა რწმუნების წარწერისა—1 მან.

13. თამასუქისა და სასაქონლო საწყობიდან გაცემული გირავნობის მოწმობის (ვარრანტის) პროტესტისათვის—1 მან. და გარდა ამისა თამასუქის ან ვარრანტის თანხის $^1/_{10}$%.

ესეთივე სასყიდელია დაწესებული ამ თამასუქის ან ვარრანტის გამო სანოტარო მოქმედების ქმნისათვის, რომელიც საპროტესტოდ იყო მიღებული, მაგრამ პროტესტი არ ექნა.

14. საზღვაო პროტესტის შედგენისათვის—30 მან.

15. სანოტარო წესით დამოწმებულ გარიგებასა და პროტესტქმნილ თამასუქზე სანოტარო კანტორის მიერ აღსრულების წარწერის გაკეთებისათვის 50 კაპ. და გარდა ამისა გადასახდევინებელი თანხის ან დასაბრუნებელი თუ გადასაცემი ქონების ღირებულების $^1/_{10}$%.

16. ა) გირავნობის მოწმობის გაცემისათვის,—3 მან.; ისეთი გირავნობის მოწმობის გაცემისათვის, რომელიც უნდა წარდგენილ იქნეს კომუნალურ ბანკში საბინაო მშენებლობისათვის მიცემული სესხის მისაღებად—1 მან.

ბ) საკრედიტო ან სხვა დაწესებულების მიერ იმ ქონების მიღების დროს, რაც ნაჩვენებია გირავნობის მოწმობაში სესხის ან ნარდად მუშაობისა და მიწოდებით ყიდვის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, უნდა გადახდევინებულ იქნეს სესხის 1/10%.

ეს თანხა საკრედიტო ან სხვა დაწესებულებამ უნდა გადაახდევინოს სესხის მიცემის დროს და გაუგზავნოს გირავნობის მოწმობის გამცემ სანოტარო ორგანოს ცნობით გირაოს მიღებისა და გირაოთ მიღებული ქონების შეკვრის შესახებ.

17. ისეთი წინადადების სანოტარო წესით დამოწმებისათვის, რომელიც მიცემულ იქნება ხელშეკრულების დასადებად სხვაგან მყოფ კონტრაგენტთან (სამოქ. სამ. კოდ. 132 მუხ.)—3 მან.

შენიშვნა. ხელშეკრულების დასადებად მიცემული წინადადების პასუხის (სამოქ. სამ. კოდ. 133 მუხ.) სანოტარო წესით დამოწმებისათვის დაწესებულია ისეთივე სასყიდელი, რაც გარიგების დამოწმებისათვისაა დაწესებული.

18. ასლის და ამონაწერის სისწორის შემოწმებისათვის:

ა) ქონებრივი ხასიათის დოკუმენტისა, აგრეთვე სანოტარო წესით დამოწმებული გარიგების მესამე ცალისათვის—1 მან. თვითეულ გვერდში.

ბ) არაქონებრივი ხასიათის დოკუმენტისა—50 კაპ. თვითეულ გვერდში.

გ) იმ დოკუმენტისა, რომელიც სასწავლებელშია წარსადგენი ამ სასწავლებელში შესვლის დროს ან დაკავშირებულია სწავლებასთან—25 კაპ. თვითეულ დოკუმენტში (იმისდა მიუხედავად, თუ რამდენი გვერდია ამ დოკუმენტში).

შენიშვნა. გვერდად იგულისხმება 35 სტრიქონი, ამასთან არა სრული გვერდი უნდა სრულად ჩაითვალოს. ასლის შემოწმების სასყიდელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმაზე მეტი არ შეიძლება იყოს, რაც დედანის შემოწმებისათვისაა დაწესებული.

ეს წესი გავრცელდება აგრეთვე სამაზრო და თემის აღმასკომებში დამოწმებული დოკუმენტების ასლებზედაც.

19. ა) ისეთ დოკუმენტზე ხელმონაწერის სინამდვილის შემოწმებისათვის, რასაც გარიგების ხასიათი არა აქვს, აგრეთვე იმ პირის ხელმონაწერის შემოწმებისათვის, რომელმაც ხელი მოაწერა გარიგებაზე იმის მაგიერ, ვისაც, სამოქ. სამ. კოდ. 28 მუხლში აღნიშნული მიზეზით, არ შეუძლიან ხელისმოწერა, თუ ამასთან არა მოწმდება თვით გარიგება—50 კაპ. თვითეულ ხელმონაწერში.

ბ) იმ პირის ხელმონაწერის სინამდვილის შემოწმებისათვის, ვინც ხელი მოაწერა წერა-კითხვის უცოდინარ გლეხების მაგიერ ისეთ ვალდებულებაზე, რასაც ეს უკანასკნელნი მისცემენ სასოფლო-სამეურნეო მანქანების ცალობით და ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდით ყიდვის დროს, თუ ამასთან არა მოწმდება თვით გარიგება—25 კ. თვითეულ ხელმონაწერში.

გ) ქართული ენიდან რუსულსა და ს. ს. რ. კ-რის რომელიმე რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე და ამ ენებიდან ქართულ ენაზე თარგმანის სისწორის შემოწმებისათვის დაწესებულია:

1. არაქონებრივი ხასიათის დოკუმენტის თარგმანისათვის— 50 კაპ. გვერდში.

2. ქონებრივი ხასიათის დოკუმენტისა, მათ შორის პატენტის, სავაჭროდ გაცემული სარეწავი და სააქციზო მოწმობის, სხვადასხვა მოწმობის შენობებისა და სხვა ქონების შესახებ, აღსრულების ფურცლის, სასამართლოს გადაწყვეტილების, რწმუნებულებისა და სხვ.—1 მან. გვერდში.

20. დოკუმენტის წარდგენის დროს შემოწმებისათვის—1 მან. დოკუმენტში.

21. წიგნის რეგისტრაციისათვის—1 კ. თვითეულ ფურცელში, მაგრამ არა ნაკლებ—1 მანეთისა მთელ წიგნში.

22. ერთი პირის განცხადების მეორე პირზე გადაცემისათვის—2 მან., ამის შესახებ მოწმობის გაცემისათვის მოწმობაში განცხადების პასუხის შეტანით—1 მან.

23. დოკუმენტების შენახვისათვის, მათ შორის პროტესტქმნილი თამასუქის შენახვისათვის, თუ იგი არ იქნა წაღებული პროტესტის მოხდენის დღიდან 7 დღის განმავლობაში, დაწესებულია თვითეულ დოკუმენტზე 50 კაპ. თვეში, ამასთან არა სრული თვე სრულ თვედ უნდა ჩაითვალოს.

24. კრებულსა და ალფაბეტში შენობების და აღნაგობის უფლების შეკვრის შეტანისათვის და აგრეთვე შეკვრის მოხსნისთვის—1 მან. თვითეული შეკვრის შეტანისა ან მოხსნისათვის.

შეკვრის შესახებ დაინტერესებულ პირთა შეკითხვაზე ცნობის გაცემისა ან გაგზავნისათვის, იმ შემთხვევებს გარდა, როდესაც ეს ცნობა მოთხოვნილია სასამართლოს, პროკურატურის, სანოტარო კანტორის ან ხელისუფლების ორგანოთა მიერ სახელმწიფო ინტერესების დასაცავად—1 მანეთი.

შენიშვნა. გირავნობის მოწმობის გაცემის გამო ქონების შეკვრისათვის, აგრეთვე იმ ქონების შეკვრისათვის, რაც აღნიშნულია საკრედიტო ან სხვა დაწესებულების მიერ თვისი ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღებულ გირავნობის მოწმობაში, განსაკუთრებული სასყიდელი არ არის დაწესებული.

25. უკეთუ სანოტარო მოქმედება დაინტერესებული პირის სურვილით სანოტარო კონტორის გარე სრულდება ძირითადი სასყიდლის გარდა უნდა გადახდილ იქნეს დამატებით ძირითადი სანოტარო გამოსაღების 100%, მაგრამ არა ნაკლებ 3 მანეთისა, და ის ხარჯი, რაც ნამდვილად იქნება გაწეული აღნიშნულ მოქმედების შესასრულებლად გაგზავნილი პირის მიერ.

26. ამა ნიხრის გამოცემისთანავე უქმდება ყველა წინათ გამოცემული ნიხრი სანოტარო მოქმედებების სასყიდლისა.

იუსტიციის სახალხო კომისარი **ი. ვარძიელი.**

ფინანსთა სახალხო კომისარი **გ. მგალობლიშვილი.**

1928 წ. აპრილის 10.

ნ ი ხ რ ი

სანოტარო კონტორებში წარმოებული ტეხნიკური მუშაობის სასყიდლისა.

1. გარიგების პროექტის შედგენისათვის, სავალო ვალდებულების გარდა, უნდა გადახდილ იქნეს:

ა)	თუ	გარიგების	თანხა	100 მანეთამდე	. . . .	1 მან.
ბ)	„	„		100 მან. 300 მანეთამ.		3 მან.
გ)	„	„		300 „ 1000 „		5 მან.
დ)	„	„		1000 „ 5000 „		10 მან.
ე)	„	„		5000 „ 15000 „		15 მან.
ვ)	„	„		15000 მანეთზე მეტია	. .	25 მან.
თ)	„	„		გამორკვეული არ არის	. .	10 მან.
ზ)	სავალო	ვალდებულების		დაწერისათვის	. . . .	1 მან.

ი) აღნაგობის უფლების დასამყარებლად და შესაძენად დადებული ხელშეკრულების პროექტის შედგენისათვის მუშა-მოსამსახურეთ გადახდებათ ხელშეკრულების თანხის 1/10%, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ 1 მანეთისა და არა უმეტეს—15 მან.

2. გარიგებაზე წარწერის პროექტის შედგენისათვის უფლების გადაცემისა, ხელშეკრულების მოშლისა, ანგარიშის გასწორებისა და სხვ. შესახებ, უნდა გადახდილ იქნეს იმ სასყიდლის 50%, რაც დაწესებულია თვით გარიგების შედგენისათვის, მაგრამ არა უმეტეს—3 მანეთისა.

3. რწმუნებულების პროექტის შედგენისათვის: ა) სავაჭროდ და ქონების სამართავად გაცემული რწმუნებულებისა (საერთო რწმუნებულებისა ან ყოველი მოქმედებისთვის ცალკე) 2 მან. ბ) სასამართლო და საადმინისტრაციო საქმის საწარმოებლად – 1 მან.; გ) კომლის ქონების სამართავად გაცემული რწმუნებულებისა და აგრეთვე საღერბო გამოსაღებისაგან განთავისუფლებული რწმუნებულებისა—50 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. რწმუნებულების ბლანკისათვის—25 კაპ., ხოლო ამ ბლანკის შევსებისათვის—50 კაპ.,

5. ანდერძის პროექტის შედგენისათვის—5 მან.

6. ერთი მხარისაგან მეორე მხარისათვის გადასაცემი განცხადების შედგენისათვის—2 მან., ხოლო შესასრულებელ სანოტარო მოქმედების შესახებ განცხადების შედგენისათვის—50 კაპ.

შენიშვნა. სამ. მანეოზე არა უმეტესი თანხის დეპოზიტად შეტანის შესახებ განცხადების შედგენისათვის სასყიდელი არ გადახდებათ.

7. ვალდებულების საგნის (ფულის და ფასეულობის) დეპოზიტად მიღებისათვის კუთვნილებისამებრ გადასაცემად:

ა)	თუ ვალდებულების საგნის ღირებულ.	3 მანეთამ., იგი მიიღება უფასოდ.
ბ)	„ „ „ „	3-დან—100 მან.—50 კაპ.
გ)	„ „ „ „	100-დან—500 მან. — 2 მან.
დ)	„ „ „ „	500 მანეთს აღემატება 5 მან.

8. ნოტარიულად დასამოწმებელ გარიგებაში ან შესამოწმებელ დოკუმენტში მონაწილე პირთათვის მათივე დავალებით იმ ცნობის მიღება, რაც კი საჭიროა სანოტარო მოქმედებისათვის—2 მან. თვითეულ ცნობაში.

9. კლიენტის დავალებით და მისივე მიერ ნაჩვენები მისამართით დოკუმენტების გადაგზავნისათვის—1 მან. და საფოსტო ხარჯი.

10. დოკუმენტის გადაწერისათვის—50 კ. თვითეულ გვერდში.

11. სასწავლებელში წარსადგენი სწავლებისათვის საჭირო დოკუმენტების გადაწერისათვის—25 კ. თვითეულ გვერდში.

12. სახელმწიფო ბანკისა და სააქციო საზოგადოების „კრედიტ-ბიუროს"-თვის პროტესტქმნილ თამასუქების შესახებ ცნობების გაგზავნისათვის—5 კ. თვითეულ ცნობაში თვითეული თამასუქის შესახებ და გარდა ამისა—საფოსტო ხარჯიც. ამავე ცნობების გაგზავნისათვის სხვა დაწესებულებებში—10 კაპ. თითო ცნობაში თვითეული თამასუქის შესახებ და საფოსტო ხარჯი.

13. საპროტესტოდ წარდგენილი თამასუქით გადახდის მოთხოვნის მიტანისათვის, აგრეთვე ერთი პირის განცხადების მიტანისათვის მეორე პირთან და კონტორის მიერ შესატყობინებელის, განცხადების და უწყების გაგზავნისათვის (5—6 მუხ.) 20 კაპ. თვითეულ განცხადებაში (შესატყობინებელსა, განცხადებასა და უწყებაში) და ამის გარდა 10 კაპ. კონტორის შიკრიკის სასარგებლოდ.

14. კონტორის მიერ ქართული ენიდან რუსულსა ან ს. ს. რ. კ-რის სხვა რომელიმე სახელმწიფო ენაზე, აგრეთვე ამ ენებიდან ქართულ ენაზე გადათარგმნისათვის:

ა) არა ქონებრივი ხასიათის დოკუმენტის გადათარგმნისათვის 50 კაპ. გვერდში.

ბ) ქონებრივი ხასიათის დოკუმენტისა—2 მან. გვერდში.

გ) ქართული ან სხვა ენიდან უცხო ენაზე და ამ ენიდან ქართულ ან სხვა ენაზე გადათარგმნისათვის უნდა გადახდილ იქნეს ორჯერ მეტი.

15. ნოტარიუსს შეუძლიან არ გადაახდევინოს ტეხნიკური მუშაობის სას-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყიდელი ისეთი დოკუმენტისათვის, რაც განთავისუფლებულია სანოტარო მოქმედებისათვის დაწესებულ სასყიდლისაგან.

შენიშვნა. ამა ნიხრით გათვალისწინებულ ყველა შემთხვევაში საწერი ქაღალდის ფორმატის გვერდად იგულისხმება 35 სტრიქონი, ამასთან თუ გვერდი სრული არ არის, იგი სრულად უნდა ჩაითვალოს.

16. ამა ნიხრის გამოცემისთანავე ძალას ჰკარგავს ყველა წინათ გამოცემული ნიხრი სანოტარო კონტორებში წარმოებულ მუშაობის სასყიდლისა.

იუსტიციის სახალხო კომისარი **ი. ვარძიელი.**

ფინანსთა სახალხო კომისარი **გ. მგალობლიშვილი.**

1928 წ. აპრილის 10

იუსტიციის და შრომის სახალხო კომისარიატების განკარგულებანი.

15. დადგენილება

სახელმწიფო საწარმოებში ჩადენილი წვრილმანი საფაბრიკო-საქარხნო ქურდობისათვის გადასახდელის დადების შესახებ.

1928 წ. ივნისის 20—29.

საქართველოს ს. ს. რ. სისხ. სამ. კოდ. 177 მუხ. „ზ“ პუნქტის შენიშვნის ძალით შრომისა და იუსტიციის სახალხო კომისარიატები ადგენენ:

1. სახელმწიფო საწარმოში მომუშავე მუშა ან მოსამსახურის მიერ თავის საწარმოში პირველად ჩადენილი წვრილმანი საფაბრიკო-საქარხნო ქურდობა წარმოების მასალების ან იარაღებისა, თუ ნაქურდალის ღირებულება 15 მანეთს არ აღემატება, გამოიწვევს სადისციპლინო გადასახდელს ამა დადგენილების წესისამებრ.

2. ამა დადგენილებით დაწესებული პასუხისმგებლობა დაეკისრება მუშას ან მოსამსახურეს ისეთ შემთხვევაშიც, თუ მან ქურდობა ჩაიდინა თავის საწარმოში, სადაც მას შეეძლო შესვლა მხოლოდ იმ მუშაობასთან დაკავშირებით, რომელსაც იგი ასრულებს.

სისხ. სამ. კოდ. 177 მუხ. „ზ“ პუნქტის შენიშვნა არ შეეფარდება მუშისა და მოსამსახურის მიერ ქონების მოპარვის ისეთ სადგომიდან, სადაც მას შეეძლო შესვლა თავის მუშაობის დამოუკიდებლივ და საქმე ასეთ ქურდობის შესახებ განიხილება საერთო სასამართლო წესით.

3. ქურდობის ფაქტი დამტკიცებულად ჩაითვლება ისეთ შემთხვევაში, უკეთუ დამნაშავე დაჭერილი იქნება დანაშაულის ადგილას ნაქურდალით ან, უკეთუ ქურდობა დადასტურდება სხვა უდავო დამამტკიცებელი საბუთით და აგრეთვე ისეთი მოწმის ჩვენებით, რომელიც ქურდობას შეესწრო; ქურდობის ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველ ცალკე შემთხვევაში უნდა აუცილებლად შესდგეს აქტი, რომელსაც ხელს მოაწერენ ადმინისტრაცია, მოწმეები და თანამოწმეები; ეს აქტი წარედგინება გასაცნობად ეპვმიტანილს. აქტი უნდა შესდგეს დაუყოვნებლივ, ქურდობის აღმოჩენისთანავე.

4. სადისციპლინო გადასახდელის ღონისძიებას წარმოადგენს: ა) შენიშვნა, გამოცხადებული ამქარში ან მთელ ქარხანაში, ბ) უფრო დაბალ თანამდებობაზე ჩამოყენება და გ) სამსახურიდან დათხოვნა.

შენიშვნა. დაბალ თანამდებობაზე ჩამოყენება შეიძლება მხოლოდ განსაზღვრული ვადით, არა უმეტეს ექვსი თვისა.

5. სადისციპლინო გადასახდელს დაადებს საწარმოს ადმინისტრაცია. გადასახდელის დადების დროს უნდა, ყოველ ცალკე შემთხვევაში, მხედველობაში მიღებულ იქნეს ქურდობის მთელი ფაქტიური გარემოება და ის, თუ რამდენად მძიმეა დანაშაული.

სადისციპლინო გადასახდელის ამა თუ იმ ღონისძიების ამორჩევა, ამა დადგენილების მე-4 მუხ. თანახმად, მოხდება იმ გარემოებათა მიხედვით, რომელიც თან სდევს ქურდობას. ამორჩევა უნდა აუცილებლად დასაბუთებული იყოს.

6. უკეთუ დაქირავებული არ დაეთანხმება ადმინისტრაციის განკარგულებას, რომლითაც სადისციპლინო გადასახდელად მას გადაეწყვიტა სამსახურიდან დათხოვნა, მას უფლება აქვს მოითხოვოს საქმის გადაცემა სასამართლოში. და ადმინისტრაცია ასეთ შემთხვევაში ვალდებულია გადასცეს საქმე სასამართლოს, სასამართლო კი—მიიღოს საქმე საწარმოებლად.

შენიშვნა. საქმის გადაცემა სასამართლოში ამა მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეაჩერებს ადმინისტრაციის განკარგულებას სამსახურიდან დათხოვნის შესახებ.

7. ადმინისტრაციის განკარგულება 4 მუხ. „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტით გათვალისწინებული გადასახდელის დადების შესახებ დაქირავებულს შეუძლიან განასაჩივროს მაღლა მდგომ ორგანოში, რომელსაც ემორჩილება გადასახდელის დამდები ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

უკეთუ ადმინისტრაციის განკარგულება გადასახდელის დადების შესახებ შეიცავს სისხლის სამართლის წესით სადევნელი ქმედობის ნიშნებს (ხელისუფლების ბოროტად გამოყენება, ხელისუფლების გადამეტება), ეს განკარგულება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს პროკურორთან.

8. ისეთ შემთხვევაში, როდესაც საწარმოში მოპარული წარმოების მასალა ან იარაღი არ დაუბრუნდა საწარმოს, ადმინისტრაციას ეძლევა უფლება დაუკავოს დამნაშავეს მოპარულის ღირებულება სამუშაო ხელფასიდან.

9. დაევალოს პროკურორის ორგანოებს განსაკუთრებით ადევნონ თვალყური იმას, რომ სახელმწიფო საწარმოთა ადმინისტრაციამ ამა დადგენილების წესისამებრ გადასახდელის დადების დროს მტკიცედ დაიცვას ამა დადგენილებით გათვალისწინებული წესი. კერძოდ პროკურატურამ უნდა ადევნოს თვალყური იმას, რომ დამნაშავეს მის სამუშაო ხელფასიდან ეკავებოდეს, ამა დადგე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნილების მე-8 მუხ. თანახმად, სწორად იმდენი, რამდენიც ნამდვილად ღირს მოპარული საგანი.

10. ამა დადგენილების ძალაში შესვლისთანავე ჩაითვალოს გაუქმებულად შრომისა და იუსტიციის სახალხო კომისარიატების მიერ 1928 წ. იანვრის 9-ს თარიღით და № 1-ით გამოცემული დადგენილება „წვრილმალი საფაბრიკო-სასარხნო ქურდობისათვის გადასახდელის დადების შესახებ“.

შრომის სახალხო კომისარი **ს. თოდრია.**

იუსტიციის სახალხო კომისარი **ი. ვარძიელი.**

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 155 №-ში 1928 წ. ივლისის 6.

საქართველოს სახელმწიფო
ტფილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახ. კომის. საბჭოს საქმეთა მმართველობის ს ტ ა მ ბ ა
მთავლიტი 1350. ტირაჟი 1000